

# ISET

International School of Economics at TSU  
Policy Institute

2023  
აპრილი



## ელექტოენერჯიის ბაზრის მიმოხილვა



## ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი ენერჯეტიკისა და გარემოს დაცვის პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

### აკტორები:

მარიამ ნულუკიძე  
უფროსის მოადგილე

✉ [m.tsulukidze@iset.ge](mailto:m.tsulukidze@iset.ge)

გურამ ლობჯანიძე  
მკვლევარი

✉ [guram.lobzhanidze@iset.ge](mailto:guram.lobzhanidze@iset.ge)

ერეკლე შუბითიძე  
მკვლევარი

✉ [erekle.shubitidze@iset.ge](mailto:erekle.shubitidze@iset.ge)

## მნიშვნელოვანი ინფორმაცია

- 2023 წლის აპრილში ელექტროენერჯის გამომუშავება წლიურად 11%-ით გაიზარდა, ხოლო თვიური მაჩვენებელი 23%-ით გაიზარდა.
- ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 10%-ით, ხოლო თვიური მაჩვენებელი - 7%-ით შემცირდა.
- გამომუშავებამ მოხმარებას 212 მლნ კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც 2023 წლის აპრილის თვის სრული წარმოების 17% და მოხმარების 20%-ია.
- აპრილში იმპორტი თითქმის არ განხორციელებულა.
- აპრილში განხორციელდა 166 მილიონი კილოვატსაათის ექსპორტი.
- მთავარი საექსპორტო პარტნიორი თურქეთი იყო (ექსპორტის თითქმის 100%).
- ექსპორტის ფასი 7,37 ცენტი, ან 18,58 თეთრი იყო ერთ კილოვატსაათზე.
- 2023 წლის აპრილში საქართველოს ელექტროენერჯის წარმოების ბაზრის HHI ინდექსი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ქვემოთ დარჩა და ინდექსის მნიშვნელობა 2 267-ს გაუტოლდა.
- საქართველოს ელექტროენერჯის მოხმარების ბაზრის HHI მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ქვემოთ დარჩა. 2023 წლის აპრილში ინდექსის მნიშვნელობამ 2 134 შეადგინა.

## შემოკლებები

მლნ	მილიონი
კვტსთ	კილოვატსაათი
ჰესი	ჰიდროელექტროსადგური
თესი	თბოელექტროსადგური
HHI	ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი
თელმიკო	თბილისის ელექტრომიწოდებელი კომპანია
ეპ ჯორჯია	ეპ ჯორჯია მიწოდებისთვის
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
ესკო	ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორი


**წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა**

2023 წლის აპრილში საქართველოს ელექტროსადგურებმა ჯამში 1,249 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯია გამოიმუშავა (დიაგრამა 1). აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, სრული წარმოების 11%-იან ზრდას წარმოადგენს (2022 წლის აპრილში სრული წარმოება 1,125 მილიონი კილოვატსაათი იყო). წარმოების წლიური ზრდა ჰიდროელექტროსადგურების (+5%), თბოელექტროსადგურებისა (+181%) ქარის ელექტროსადგურების (+38%) გამომუშავების ზრდამ განაპირობა.

თვიურ ჭრილში, წარმოება, დაახლოებით, 23%-ით გაიზარდა (2023 წლის მარტში სრული წარმოება 1,019 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა) (დიაგრამა 1). წარმოების თვიდან თვემდე ზრდა ჰიდროელექტროსადგურებისა (+42%) და ქარის ელექტროსადგურების (+29%) გამომუშავების ზრდამ გამოიწვია, მაშინ როცა თბოელექტროსადგურების (-53%) გამომუშავება შემცირდა.

ელექტროენერჯის მოხმარებამ ადგილობრივ ბაზარზე 1,037 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა (10%-ით ნაკლები 2022 წლის აპრილთან შედარებით და 7%-ით ნაკლები 2023 წლის მარტთან შედარებით) (დიაგრამა 1). 2023 წლის აპრილში ენერჯის წარმოებამ მოხმარებას 212 მილიონი კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც სრული წარმოების 17%-სა და სრული მოხმარების 20%-ს შეადგენდა (2022 წლის აპრილში წარმოებასა და მოხმარებას შორის დეფიციტმა 30 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა, რაც თვის განმავლობაში, როგორც სრული წარმოების, ასევე მოხმარების დაახლოებით 3%-ს გაუტოლდა).


**დიაგრამა 1** - ელექტროენერჯის მოხმარება და გამომუშავება



წყარო: ესკო


წარმოების უდიდესი წილი ჰიდროელექტროსადგურებზე (ჰესი) მოდის. 2023 წლის აპრილში ჰესების მიერ ელექტროენერჯის წარმოება 1,142 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა (სრული წარმოების 91%), თბოელექტროსადგურების (თესი) წარმოება 98 მილიონ კილოვატსაათს (სრული წარმოების 8%), ხოლო ქარის ენერჯის წარმოება - 9 მილიონ კილოვატსაათს (სრული წარმოების 1%) (დიაგრამა 2).

**დიაგრამა 2** - ელექტროენერჯის გამომუშავება წყაროების მიხედვით




ჰიდროელექტროსადგურებს შორის მსხვილმა (მარეგულირებელმა) ჰესებმა ელექტროენერჯის 40% გამოიმუშავა (461 მილიონი კილოვატსაათი), ხოლო სეზონურმა და მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურებმა, შესაბამისად, 49% (555 მილიონი კილოვატსაათი) და 11% (126 მილიონ კილოვატსაათი) (დიაგრამა 3).

**დიაგრამა 3** - ჰიდროელექტროსადგურის გამომუშავება ტიპის მიხედვით



თბოელექტროსადგურებს რაც შეეხება, გარდაბანი 2-მა გამოიმუშავა 96 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 98% და ჯამური გამომუშავების 8%), ხოლო აირტურბინამ გამოიმუშავა 2 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 2% და ჯამური გამომუშავების 0.2%) (დიაგრამა 4).


**დიაგრამა 4** - დიდი თბოელექტროსადგურების წილი მთლიან გამომუშავებაში



წყარო: ესკო

რაც შეეხება ჰიდროელექტროსადგურებიდან (ჰესი) წარმოებულ ენერჯიას, ვარდნილჰესმა 56 მილიონი კილოვატსაათი ენერჯია გამოიმუშავა (მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ენერჯიის 12% და სრული წარმოების 5%). ენგურჰესმა 263 მილიონი კილოვატსაათი გამოიმუშავა, რაც მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ელექტროენერჯის 57%-ს და სრული წარმოების 21%-ს შეადგენს (დიაგრამა 5).


**დიაგრამა 5** - ენგურისა და ვარდნილის წილი სრულ გამომუშავებაში



წყარო: ესკო

საერთო ჯამში, სრული გამომუშავება 2022 წლის აპრილთან შედარებით 11%-ით გაიზარდა (დიაგრამა 6).

**დიაგრამა 6** - გამომუშავების ზრდა (% წ/წ)



წყარო: ესკო


ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა შემდეგნაირად გადანაწილდა: ენერგო-პრო ჯორჯია/ეპ ჯორჯია<sup>1</sup> (32% – 331 მილიონი კილოვატსაათი), აფხაზეთი (24% – 244 მილიონი კილოვატსაათი), თელასი/თელმიკო<sup>2</sup> (22% – 227 მილიონი კილოვატსაათი) და პირდაპირი მომხმარებლები (22% – 234 მილიონი კილოვატსაათი) (დიაგრამა 7). მოთხოვნა თელასი/თელმიკოსგან და ენერგო-პრო ჯორჯიასგან, შესაბამისად, 5%-ითა და 1%-ით გაიზარდა, ხოლო აფხაზეთისგან და პირდაპირი მომხმარებლებისგან შემცირდა, შესაბამისად, 8%-ით და 32%-ით 2022 წლის აპრილთან შედარებით. საერთო ჯამში, 2023 წლის აპრილში ელექტროენერჯის მოხმარებამ წლიურად 10%-ით ნაკლები შეადგინა 2022 წლის აპრილის მოხმარებასთან შედარებით (დიაგრამა 8).

<sup>1</sup> ენერგო-პრო ჯორჯიამ 2017 წლის სექტემბერში კახეთი ენერჯი დისტრიბუშენი შეიძინა.

<sup>2</sup> 2021 წლის ივლისიდან, ელექტროენერჯის ბაზრის ახალი მოდელის შემოღების შემდეგ, განაწილებისა და საბოლოო მიწოდების ფუნქციები გაიმიჯნა. შედეგად, მივიღეთ სამი ტიპის მოთამაშე ბაზარზე: განაწილების ლიცენზიანტები - განაწილებაზე და განაწილებისას არსებულ დანაკარგზე პასუხისმგებლები; უნივერსალური სერვისის მიმწოდებლები - საყოფაცხოვრებო სექტორისა და მცირე კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები; და საჯარო სერვისის მიმწოდებლები - საშუალო და მსხვილი კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები. ამჟამად ენერგო-პრო ჯორჯია და თელასი ანაწილებენ ელექტროენერჯიას, ხოლო ეპ ჯორჯია და თელმიკო მათ გამოეყვნენ და ორივე გახდა უნივერსალური და საჯარო სერვისის მიმწოდებელი.




**დიაგრამა 7** - ელექტროენერჯის მოხმარება მომხმარებლის ტიპის მიხედვით



წყარო: ესკო

**დიაგრამა 8** - ელექტროენერჯის მოხმარების ზრდა (% წ/წ)




წყარო: ესკო

2023 წლის აპრილში საქართველომ 0.065 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი განხორციელა (მაშინ, როცა 2022 წლის აპრილში 71 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი განხორციელდა, რომლის თითქმის 100% რუსეთიდან შემოვიდა) (დიაგრამა 9). იმპორტის 100% აზერბაიჯანიდან შემოვიდა. 2023 წლის აპრილში საქართველოდან 166 მილიონი კილოვატსაათის ექსპორტი განხორციელდა (2022 წლის აპრილში უმნიშვნელო რაოდენობის ექსპორტი განხორციელდა რუსეთში, თურქეთსა და აზერბაიჯანში) (დიაგრამა 10). ექსპორტის თითქმის 100% თურქეთში გავიდა. 2023 წლის აპრილში განხორციელდა 98 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი რუსეთიდან თურქეთში (2022

წლის აპრილში განხორციელდა 86 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი რუსეთიდან თურქეთში და 53 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი სომხეთიდან თურქეთში).


2023 წლის აპრილში იმპორტი თითქმის 100%-ით შემცირდა 2022 წლის აპრილთან შედარებით, ხოლო ექსპორტი 1,000-ზე მეტჯერ გაიზარდა (ეფექტი გამოწვეულია იმპორტისა და ექსპორტის დაბალი დონეებით 2023 წლის აპრილსა და 2022 წლის აპრილში, შესაბამისად).

**დიაგრამა 9 - იმპორტი წლების მიხედვით**



წყარო: ესკო

**დიაგრამა 10 - ექსპორტი წლების მიხედვით**




წყარო: ესკო




2023 წლის აპრილში იმპორტი 100%-ით შემცირდა 2023 წლის მარტთან შედარებით (დიაგრამა 11). 2023 წლის აპრილში ექსპორტი 0-ის ტოლი იყო, შესაბამისად ზრდის დონე თვეების ჭრილში ვერ შეფასდება (დიაგრამა 12).

**დიაგრამა 11** - იმპორტი თვეების მიხედვით



წყარო: ესკო

**დიაგრამა 12** - ექსპორტი თვეების მიხედვით




წყარო: ესკო

## 1. საბაზრო ოპერაციები

2023 წლის აპრილში, ადგილობრივ ბაზარზე გაყიდული ელექტროენერჯის 75% პირდაპირი კონტრაქტების მეშვეობით გაიყიდა. დარჩენილი 25% კი – საბალანსო ელექტროენერჯის სახით (დიაგრამა 13).


**დიაგრამა 13** - შესყიდულ/გაყიდულ ელექტროენერჯიაში პირდაპირი კონტრაქტებისა და საბალანსო ელექტროენერჯის წილი



წყარო: ესკო

2023 წლის აპრილში, საბალანსო ელექტროენერჯის შეწონილი საშუალო ფასი იყო 13.7 თეთრი კილოვატსაათზე, რაც წლიური კლების 18%-ს შეესაბამება 2022 წლის აპრილთან შედარებით. რაც შეეხება საშუალო შეწონილ ფასს დერეგულირებული (მცირე სიმძლავრის) ჰესებისთვის, ის 11.7 თეთრს შეადგენდა კილოვატსაათზე, რაც 2022 წლის აპრილის მონაცემზე 16%-ით ნაკლებია (დიაგრამა 14).


**დიაგრამა 14** - საბალანსო ელექტროენერჯის ფასების შეწონილი საშუალო და დერეგულირებული ჰესების ფასის შეწონილი საშუალო



წყარო: ესკო

2023 წლის აპრილში გარანტირებული სიმძლავრის ჯამური ხარჯი, დაახლოებით, 15.64 მილიონი ლარი იყო, რაც 2022 წლის აპრილის მონაცემზე 7%-ით ნაკლებია (დიაგრამა 15).


**დიაგრამა 15** - გარანტირებული სიმძლავრის ხარჯი



წყარო: ესკო

2023 წლის აპრილში ელექტროენერჯის იმპორტის ფასი 6.55 ცენტი, ან 16.54 თეთრი იყო (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს დოლარში ფასის 8%-იან ზრდას, ხოლო ლარში 11%-იან კლებას (2022 წლის აპრილში ფასები 6.05 ცენტი, ან 18.57 თეთრი იყო კილოვატსაათზე). 2023 წლის მარტთან მიმართებით იმპორტის ფასი 54-ჯერ გაიზარდა დოლარში და 52-ჯერ ლარში (ფასები იყო 0.12 ცენტი, ან 0.31 თეთრი), თუმცა აღსანიშნავია, რომ იმპორტი აპრილში თითქმის 0-ის ტოლი იყო. 2023 წლის აპრილში ელექტროენერჯის ექსპორტის ფასი 7.37 ცენტი, ან 18.58 თეთრი იყო (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს დოლარში ფასის 121%-იან ზრდას, ხოლო ლარში - 82%-იანს (2022 წლის აპრილში ფასები 3.33 ცენტი, ან 10.21 თეთრი იყო კილოვატსაათზე) (დიაგრამა 16). 2023-ის მარტში ექსპორტი არ განხორციელებულა, ამიტომ დინამიკის შეფასება თვიურ კრილში შეუძლებელია.

**დიაგრამა 16** - იმპორტისა და ექსპორტის ფასები




■ იმპორტის შეწონილი ფასი ■ ექსპორტის შეწონილი ფასი

წყარო: ესკო


2023 წლის აპრილში, ელექტროენერჯის იმპორტის ფასი აზერბაიჯანიდან 6.55 ცენტს, ან 16.54 თეთრს შეადგენდა კილოვატსაათზე (დიაგრამა 17).

**დიაგრამა 17** - იმპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით



2023 წლის აპრილში ელექტროენერჯის ექსპორტის ფასი აზერბაიჯანში, რუსეთსა და თურქეთში, შესაბამისად, 6.47 ცენტს, ან 16.33 თეთრს, 3.84 ცენტს, ან 9.70 თეთრს და 7.36 ცენტს, ან 18.59 თეთრს შეადგენდა კილოვატსაათზე (დიაგრამა 18).


**დიაგრამა 18** - ექსპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით



## 2. ბაზრის კონცენტრაცია

დაბოლოს, ვიყენებთ ჰირშმან-ჰერფინდალის (HHI) ბაზრის კონცენტრაციის ინდექსს იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იყო წლის განმავლობაში ბაზარზე ენერჯის გამომუშავებისა და მოხმარების სეგმენტები. 2023 წლის აპრილში, საქართველოს ელექტროენერჯის გამომუშავების ბაზარი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ქვემოთ დარჩა და HHI ინდექსი 2,267 ერთეულს გაუტოლდა (დიაგრამა 19). აღნიშნული კი 2022 წლის აპრილის მონაცემზე (HHI 1,434 ერთეული) და 2023 წლის მარტის მაჩვენებელზე (HHI 1,241 ერთეული) მაღალია. რაც შეეხება მოხმარების სეგმენტს, 2023 წლის აპრილში HHI მოხმარების ინდექსი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე დაბლა შენარჩუნდა და მაჩვენებელი 2,134 ერთეულს გაუტოლდა (2022 წლის აპრილის მაჩვენებელზე (1,780) მაღალი და 2023 წლის მარტის მაჩვენებელზე (2,184) დაბალი). რეალურად, 2020 წლის სექტემბერი ბოლო თვე იყო, როდესაც ინდექსის ნიშნული მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე მაღალი იყო, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ბაზარზე კონკურენცია იზრდება. (დიაგრამა 20).


**დიაგრამა 19** - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის გამომუშავებისთვის



წყარო: ესკო

**დიაგრამა 20**

- ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის მოხმარებისთვის



წყარო: ესკო